საქართველოს ეროვნული არქივი
NATIONAL ARCHIVES OF GEORGIA

საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო



საქართველოს პირველი რესპუბლიკა
THE FIRST REPUBLIC OF GEORGIA

საქართველოს ეროვნული არქივის მასალები



საქართველოს პირველი რესპუბლიკა

THE FIRST REPUBLIC OF GEORGIA

ავტორ-შემდგენლები:
ბექა კობახიძე
დიმიტრი სილაქაძე
ანტონ ვაჭარაძე

ქართული ტექსტის რედაქტორი:
თეა ქიმერიძე

ინგლისური ტექსტის რედაქტორი:
თამარ ჯანაშია

მთარგმნელები:
სოფიო ჯობავა
ბექა კობახიძე

დიზაინერი:
ნატა ყუბანეიშვილი

გამოცემაზე მუშაობდნენ:
ქეთევან ასათიანი
ნინო ბადაშვილი
თამარ ბჟალავა
მაყვალა გერაძე
თეონა იაშვილი
გიორგი კაკაბაძე
ქეთევან კობიაშვილი
ნათია მირიანაშვილი
არმენ პეტროსიანი
ქეთევან სადაგიშვილი
მარინა სხირტლაძე
სოფიო ფაციაშვილი

AUTHORS/COMPILERS:
Beka Kobakhidze
Dimitri Silakadze
Anton Vacharadze

EDITOR OF GEORGIAN TEXT:
Tea Kimeridze

EDITOR OF ENGLISH TEXT:
Tamar Janashia

TRANSLATORS:
Sophio Jobava
Beka Kobakhidze

DESIGNER:
Nata Kubaneishvili

WORKED ON THE EDITION:
Ketevan Asatiani
Nino Badashvili
Tamar Bzhalava
Makvala Geradze
Teona Iashvili
Giorgi Kakabadze
Ketevan Kobiashvili
Natia Mirianashvili
Armen Petrosian
Ketevan Sadagishvili
Marina Skhirtladze
Sophio Phatsiashvili

შესავალი

საქართველოს პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არასრული სამი წელი იარსება (1918-1921) და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მისი მემკვიდრეობა დღევანდელი ქართული სახელმწიფოსათვის ფასდაუდებელი გამოცდილება და სიამაყის საგანია. 26 მაისი, საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღება, იუნკერთა გმირობა და 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მეთერთმეტე არმიის თბილისში შემოსვლა – ეს ის ფაქტებია, რომლებიც საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ კარგად იცის, თუმცა თავისუფლების ეს მცირე პერიოდი ჯერ კიდევ მოითხოვს შესწავლას.

ამისი მიზეზი, პირველ რიგში, ჩვენს უახლოეს წარსულშია. დემოკრატიული საქართველო საკუთარი ევროპული ღირებულებებითა და თავისუფლებისაკენ სწრაფვით პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდიოდა უძლიერესი პროპაგანდისტული მანქანით აღჭურვილ საბჭოთა სახელმწიფოს მოდელთან. სწორედ ამ მანქანამ შექმნა მითი „მენშევიკურ საპყრობილესთან“ დაკავშირებით და, რეალურად, ქართული საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მხოლოდ წინა საუკუნის მიწურულს, ეროვნული მოძრაობის ხანაში გახდა ცნობილი მეოცე საუკუნის ოციან წლებში არსებული დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოსა და უცხოეთში გადახვეწილი საქართველოს მთავრობის შესახებ.

წინამდებარე ალბომი ერთგვარი შეხსენებაა იმისა, რომ ჩვენ არა მხოლოდ სამართალმემკვიდრეები ვართ პირველი რესპუბლიკისა, არამედ დღევანდელი ქართული საზოგადოება და სახელმწიფო სწორედ იმ იდეალების დამკვიდრებისაკენ უნდა ისწრაფვოდეს.

ეს იყო დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც რუსეთის იმპერიის ყოფილ პერიფერიაზე, ბევრ განვითარებულ ქვეყანაზე ადრე, ჩაატარა საყოველთაო არჩევნები ორივე სქესის მოქალაქეთა მონაწილეობით; მიიღო კონსტიტუცია; დააფუძნა სახელმწიფო ინსტიტუტები; შეიმუშავა კანონმდებლობა ეროვნული და რელიგიური უმცირესობების დასაცავად; გასაქანი მისცა ქალთა უფლებებს; შექმნა მრავალპარტიული სისტემური მმართველობის კარგი მაგალითი; ჩამოაყალიბა პოლიტიკური აზრისა და დებატების კულტურა.

რასაკვირველია, იყო შეცდომებიც, თუმცა ამოსავალ წერტილს ეროვნული ინტერესების სამსახური და ძლიერი სახელმწიფოს შექმნის იდეალები წარმოადგენდა. ამიტომ, საერთაშორისო აღიარებითაც, საქართველო აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ ქვეყნად რჩებოდა, მასზე არაერთი სამხედრო თავდასხმისა თუ მეზობელი რუსეთის მთელ იმპერიაში გამეფებული ანარქიის მიუხედავად. სწორედ ამიტომ, პირველი რესპუბლიკის ისტორიის საფუძვლიანი კვლევა და საზოგადოებისათვის ინფორმაციის სხვადასხვა სახით მიწოდება (სამეცნიერო მონოგრაფიები, პოპულარული სტატიები, ფოტოალბომები, დოკუმენტების კრებულები თუ მხატვრულ-დოკუმენტური ფილმები) დღეს მეტად საჭიროა საქმეა.

საქართველოში პირველი რესპუბლიკის შესახებ დოკუმენტების ძირითადი ბაზა, რასაც პირველ რიგში უნდა დაეყრდნოს ჩვენი ცოდნა სამწლიანი დამოუკიდებლობის შესახებ, საქართველოს ეროვნულ არქივშია დაცული. აქვეა 1918-1921 წლების საინტერესო და, ხშირად, უნიკალური ფოტოები. ამიტომაც, სწორედ საქართველოს ეროვნულმა არქივმა ითავა მის ხელთ არსებული მასალის გარკვეული ნაწილის თემატური და ქრონოლოგიური პრინციპით დალაგებული სახით გამოცემა.


ალბომი იწყება სახელმწიფო ატრიბუტიკის ფოტოებით, მათი აღწერილობისა და დამტკიცების დოკუმენტებით. მადლიერებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს პარლამენტისაგან მოგვეცა საშუალება ამავე ალბომში გამოგვექვეყნებინა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ორიგინალი. აქვეა სახელმწიფოს მიერ მიღებული უმთავრესი კანონები, იქნება ეს, „შრომითი ხელშეკრულების კანონი“ თუ „კანონი საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ“. ფოტოებსა თუ დოკუმენტებში

ასახულია საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელი კრების არჩევნებისა და საქმიანობის დეტალები, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი.

ალბომში განსაკუთრებით დიდი ყურადღება საგარეო პოლიტიკასა და ქვეყნის სამხედრო აღმშენებლობას ეთმობა, რადგან ქვეყნის არსებობის საკითხი სწორედ საგარეო მხარდაჭერასა და ძლიერი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებასთან იყო დაკავშირებული. გამოცემაში შესულია იმდროინდელი ქართული კულტურის, განათლების, პრესისა და ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები. ალბომის ძირითადი ნაწილი სრულდება დამოუკიდებელი საქართველოს საბჭოთა არმიის მიერ ოკუპაციის ამსახველი მასალით, რომელშიც ერთმანეთს ცვლის საბრძოლო მოწოდებები სამშობლოს დასაცავად.

გამოცემას ერთვის დოკუმენტები ერთა ლიგაში საქართველოს პირველი რესპუბლიკის წარმომადგენლის, ხარიტონ შავიშვილის პირადი საარქივო ფონდიდან, რომლის ციფრული ვერსია საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის ძალისხმევით ეროვნულმა არქივმა 2015 წელს ჟენევის გაეროს განყოფილების ბიბლიოთეკიდან ჩამოიტანა.

პირველმა რესპუბლიკამ მცირე ხანს, სულ რაღაც 1028 დღე იარსება, თუმცა გასაანალიზებლად ბევრი ისეთი საკითხი დაგვიტოვა, რასაც თანამედროვეობაშიც არ დაუკარგავს აქტუალობა. წინამდებარე გამოცემა ამ პერიოდის შესასწავლად წინ გადადგმული ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია.



PREFACE

The First Democratic Republic of Georgia merely existed for three incomplete years (1918-1921), yet, left an important trace on the history of our country. Its legacy left valuable experience to the modern Georgian state and became the subject of our pride. May 26th, the first constitution of Georgia, the heroic act of the cadets, and the invasion of the Red Army in Tbilisi on February 25th, 1921 – these are the main publicly known facts about the history of the First Republic, however, this short phase of liberation is still in need of scrutiny.

The reasoning behind the limited knowledge is to be searched for in our nearest past. Yearning for freedom and European values, democratic Georgia came into direct conflict with the model of the Soviet state and its propaganda machine. It was the latter machine that created the myth about the "Menshevik jail". Explicit facts about the 1920s independent state of Georgia, as well as the exiled Georgian government, became widely known only by the end of the twentieth century, during the National Liberation Movement period.

The following album serves as a reminder, that we are the legal successors of the First Republic, and that the Georgian society should strive for the implementation of values similar to that of the First Republic.

This was a democratic state that: held elections with the participation of both men and women, on the periphery of the former Russian Empire earlier than many developed countries; implemented a constitution; established state institutions; passed anti-discrimination laws for ethnic and religious minorities; exercised women's rights; established a multi-party government system; advanced political thought and established the debate culture.

Undoubtedly, mistakes were made along the way, but the principal goal constantly focused on serving national interests and creating a strong state. In spite of the ongoing wars in the Russian Empire and numerous military offenses against the Republic, Georgia remained as one of the most stable countries in Eastern Europe. Consequently, profound research and diversified resources of information (scientific monographs, popular articles, photo albums, collections of documents, feature films and documentaries) concerning the First Republic, currently hold a substantial value.

The collection of documents about the First Republic, serving as the basis of our knowledge on the three year long independence period, is stored at the National Archives of Georgia. The archives are also home to numerous unique photos from 1918-1921. Having access to the mentioned documents, the National Archives published its available materials, according to a thematic and chronological principle.

The album begins with the photos of state symbols, their descriptions and accompanying documents. The Parliament of Georgia provided us with an opportunity to publish the original document of the Declaration of Independence. The album also contains the state's main legislative acts, such as the labour code and the law on state language. The documents and photos demonstrate details of: the activities and election procedures of the Constituent Assembly, the restoration of the autocephaly of the Georgian Church, and the relationship between the Church and the state.

A substantial part of the album focuses on foreign policy and military revival, as the very existence of the Republic significantly depended on foreign affairs and the creation of strong armed forces. The publication contains noteworthy instances of the respected period, from Georgian culture, education, media and daily life. The main part of the album ends with the materials depicting the occupation of Georgia by the Red Army, which illustrate final battle cries in hopes of defending homeland. Furthermore, the publication includes documents from the private archive of Khariton Shavishvili, representative of the First Republic of Georgia to the League of Nations. Due to great efforts of the Minister of Justice Thea Tsulukiani, the United Nations' library in Geneva transferred digital copies of the documents to the National Archives of Georgia in 2015.


The First Republic existed for a short period of 1,028 days, nevertheless, it left us with questions for analysis that still maintain relevance. The following album, together with the mentioned sources, is a significant step towards the study of the respected historical period.

ამიერიდგან საქართველო
სუვერენული სახელმწიფოა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

From now on the people of Georgia
possess sovereign rights.


THE ACT OF INDEPENDENCE OF GEORGIA





საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და სახელმწიფო ატრიბუტიკა

THE ACT OF INDEPENDENCE OF GEORGIA AND NATIONAL ATTRIBUTES



საქართველოს დამოუკიდებლობის

აქტი

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, ყოველ მხრით მტრისგან შევიწროვებული, საქართველო თვისის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდის რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი მინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი სამხარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დაუტევა ამიერკავკასია.

დარჩნენ რა თვისის ძალონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იღვწეს თავს საკუთარი სახელმწიფოების გაძლოლა და შატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ, გარეშე ძალთა ზედგავლენით, ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისის საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაშყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი აავოს.


ამისდა თანხმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული, საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს საყოველთაოდ ა ც ხ ა დ ე ბ ს:

1. ამიერიდგან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა - დემოკრატიული რესპუბლიკაა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი
1918 წლის 26 მაისი
დოკუმენტი ეკუთვნის საქართველოს პარლამენტს
დაცულია ეროვნულ არქივში

The Act of Independence of Georgia
May 26, 1918
The document belongs to the Parliament of Georgia
Preserved at the National Archives of Georgia



საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი
1918 წლის 26 მაისი
დოკუმენტი ეკუთვნის საქართველოს პარლამენტს
დაცულია ეროვნულ არქივში
(დოკუმენტის დასაწყისი იხ. წინა გვერდზე)

The Act of Independence of Georgia
May 26, 1918
The document belongs to the Parliament of Georgia
Preserved at the National Archives of Georgia
(See the previous page for the beginning of the document)




საქართველოს რესპუბლიკის გერბი
მხატვარი: იოსებ შარლემანი.
გერბზე წმიდა გიორგის გამოსახვის წესების ავტორები,
მხატვრები: დიმიტრი შევარდნაძე და დავით კაკაბაძე.
1918 წელი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Coat of arms of the Republic of Georgia
Author: Josif Charlemagne.
The authors of the rules of depicting St. George on the coat of arms,
painters: Dimitri Shevardnadze and David Kakabadze.
1918
The document preserved at the National Archives of Georgia



საქართველოს რესპუბლიკის გერბის ესკიზი
მხატვარი: იოსებ შარლემანი.
1918 წელი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Sketch of the coat of arms of the Republic of Georgia
Author: Josif Charlemagne.
1918
The document preserved at the National Archives of Georgia



კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს რესპუბლიკის გერბისა.


I. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას აქვს თავისი სახელმწიფოებრივი გერბი.-

2. გერბად არის თეთრი გიორგი შეიდი მნათობითა

1918 წ. სექტემბრის 20.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს
თავმჯდომარე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე




კანონი საქართველოს რესპუბლიკის გერბის შესახებ
1918 წლის 20 სექტემბერი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

The act on the coat of arms of the Republic of Georgia
September 20, 1918
The document preserved at the National Archives of Georgia


საქართველოს რესპუბლიკის გერბის აღწერილობა
1918 წელი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Description of the coat of arms of the Republic of Georgia
1918
The document preserved at the National Archives of Georgia



საქართველოს რესპუბლიკის დროშის ესკიზი
ავტორები: იაკობ ნიკოლაძე, იოსებ შარლემანი.
1918 წელი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Sketch of the flag of the Republic of Georgia
Authors: Iakob Nikoladze, Josif Charlemagne.
1918
The document preserved at the National Archives of Georgia



კანონი

საქართველოს რესპუბლიკის დროშისა.

I. საქართველოს რესპუბლიკას აქვს ჯვარი დროშა სამფერადი: წითელის /მუნჯის ფერის/ მაგის და თეთრის ფერისა.

2. დროშას შეადგენს: თეთრი სწორი ჯვარი მოთავსებული ისე, რომ ჯვრის ბოლოები ხელს არ უშლიან ოთხკუთხედის ოთხივე მხარეს. ამაში წითელი /მუნჯის ფერი/ მაგი და თეთრი ოთხკუთხედი მოქცეული ისე, რომ ჯვრის ბოლოები ოთხკუთხედის ოთხივე მხარეს ერთნაირ მანძილზე იყოს.


1918 წ. სექტემბრის 10-ს

საქართველოს ეროვნულ საბჭოს
თავმჯდომარე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე

კანონი საქართველოს რესპუბლიკის დროშის შესახებ
1918 წლის 10 სექტემბერი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Law on the flag of the Republic of Georgia
September 10, 1918
The document preserved at the National Archives of Georgia



„დ ი დ ე ბ ა“

ქართული ეროვნული ჰიმნი.

სიტყვები და მუსიკა კოტე ფოცხვერაშვილისა.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ჰიმნი „დიდება“
მუსიკისა და ტექსტის ავტორი: კოტე ფოცხვერაშვილი.
1918 წელი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

National Anthem “Dideba” (Glory) of the Republic of Georgia
Music and text: Kote Photskhverashvili.
1918
The document preserved at the National Archives of Georgia


„დიდება“

ქართული ეროვნული ჰიმნი




ნოე რამიშვილი
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე 1918 წლის მაის-ივნისში;
შემდეგში, სამხედრო მინისტრი, სახალხო განათლების მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი.
1918 წელი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

NOE RAMISHVILI
The first Chairman of the Government of the Republic of Georgia, May-June 1918
Later the Minister of Defence, Minister of Public Education and Minister of Home Affairs.
1918
The document preserved at the National Archives of Georgia



ნოე ჟორდანია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე
1918 წლის ივნისიდან
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

NOE ZHORDANIA
Chairman of the Government of the Republic of Georgia
Since June 1918
The document preserved at the National Archives of Georgia



საქართველოს ეროვნული საბჭო.

/ პირველი კრება./

კვირას, 26 მაისს 1918 წ. ქ.ტფილისი. სასახლე.

კრებას დაესწრო 42 წევრი და 36 კანდიდატი.

ლოჟებში და ქანდარაზედ აუარებელი საზოგადოებაა: სხვა და სხვა ერთა წარმომადგენელნი, რომელთაშორის იმყოფება გერმანეთის ჯარის უფროსი ოფიცერი გრაფი შულენბურგი გერმანელ ოფიცერთა თანხლებით. ლოჟაშია აგრეთვე ტფილისის მიტროპოლიტი ლეონიდე სამღვდელო პირთა და ქართველი მხედრობა.

სასახლის წინა მოედანი და ახლო-მახლო ქუჩები ხალხით არის გაჭედილი.

სასახლის ბანზედ ამართულია საქართველოს დროშა. ამასთანავე ორი დროშით მორთულია ის კედელი, რომელთანაც პრეზიდიუმის ადგილებია.

თავმჯდომარეობს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებულ კომიტეტის

თავმჯდომარე ნოე ჯ ო რ დ ა ნ ი ა .

პრეზიდიუმის წევრნი: გიორგი ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი
გრიგოლ ვ ე შ ა პ ე ლ ი
შავლე ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე .

მდივნად არის ეროვნულ საბჭოს მდივანი ილია ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი.


კრება ნაშუადღევის 4 ს.და 50 წ. იწყება.

როცა თავმჯდომარე თავისს ადგილს იჭერს, საბჭო და დამსწრე საზოგადოება ფეხზე დგომით მხურვალე და ხანგრძლივის ტაშით ეგებება და ოვაციებს უმართავს.

კრების გახსნა. თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომას გახსნილად ვაცხადებ.

თავმჯდომარ. სიტყვა. -მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიულის იმვიათის და ამავე დროს ტრაღიკულ აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ახლა, ამავ დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს.

საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი სხდომის ოქმი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ
თბილისი, 1918 წლის 26 მაისი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში



მისალმებანი. ახლა ჩვენ უნდა გადავიდეთ კრების საგნის მეორე მხარეზე. აქ იმყოფებიან ერთა წარმომადგენელნი, რომელთაც განაცხადეს სურვილი-მიესალმონ საბჭოს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო.-

მისალმების სიტყვები წარმოსთქვეს: მუსულმანთა ეროვნულ საბჭოს სახელით ფაჯ-ალი-ხან ხოისკიმ /რუსულად/, ადგილობრივ პოლონელთა წარმომადგენელმა,/რუსულად/ ოსების წარმომადგენელმა გაგლოევმა /საბჭოს წევრი/ /ქართულად/ ჰაიდარბეგ აბაშიძემ /საბჭოს წევრი/საქართველოს მაჰმადიანთაგან /ქართულად/,- გერმანულ ჯარის ობერლეიტანანტ კაიზერმა /გრ. შულემბურგის ამალაში მყოფმა / /დოიჩურათსთარგმნიდა გერ. ქიქოძე./ თავისის საკუთარი სახელით და ამიერკავკასიაში მოსახლე გერმანელების სახელით ბ-ა ფრიკენმა -/დოიჩურად- სთარგმნიდა გერონტი ქიქოძე/

თითოეულ ორატორს კრება და საზოგადოება ტაშით ეგებებოდა და აცილებდა; ზოგს ოვაციებიც გაუმართა-, მაგალითად ობერლეიტენანტს კაიზერს და ბ-ნ ფრიკენს.

კრების დახურვა თავმჯდომარე მადლობას ვუცხადებ ყველა იმათ, ვინც აქ სალამი მოგვიძღვნა და ეროვნულ საბჭოს კრებას ვხურავ. /ხანგრძლივი ტაში და ოვაციები./

კრება საღამოს 5 საათსა და 55 წ. დასრულდა.-

თავმჯდომარე ნ. ჯორჯაძე

პრეზიდიუმის წევრნი

მდივანი


First proceedings of the National Council of Georgia after the declaration of independence
Tbilisi, May 26, 1918
The document preserved at the National Archives of Georgia


დამფუძნებელი კრების არჩევნებში ქალთა და კაცთა სრულუფლებიანი მონაწილეობა უზრუნველყოფილია.

დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება, თავი II

Citizens of both genders are eligible to vote in the elections of the Constituent Assembly.

THE ELECTORAL STATUTE OF THE CONSTITUENT ASSEMBLY, CHAPTER II






პირველი არჩევნები, საქართველოს დამფუძნებელი კრება და საკანონმდებლო საქმიანობა

FIRST ELECTIONS, FOUNDING SESSION OF THE CONSTITUENT ASSEMBLY AND LEGISLATIVE WORK



საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა
თბილისი, 1919 წლის 12 მარტი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში


The first meeting of the Constituent Assembly of Georgia
Tbilisi, March 12, 1919
The document preserved at the National Archives of Georgia





დამფუძნებელი კრების პლენარულ სხდომათა დარბაზის ინტერიერი (დღევანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე)
თბილისი, 1919 წელი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Interior of the plenary hall, where the Constituent Assembly session took place (present-day National Youth Palace)
Tbilisi, 1919
The document preserved at the National Archives of Georgia



საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, მიღებული 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე და დადასტურებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის 12 მარტს

დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

The Act of Independence of Georgia, adopted on May 26, 1918 by the National Council of Georgia and confirmed by the Constituent Assembly on March 12, 1919

The document preserved at the National Archives of Georgia



საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომა

პრეზიდიუმში: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ლომთათიძე;
მარჯვნივ მთავრობის ლოჟაში სხედან: მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია; განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი;
იუსტიციის მინისტრი შალვა ალექსი-მესხიშვილი; საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი;
მიწათმოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი. მარცხნივ ჟურნალისტთა ლოჟაში დგას მწერალი და ჟურნალისტი ილია ზურაბიშვილი.
თბილისი, 1919 წელი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Meeting of the Constituent Assembly of Georgia

In the presidium: Deputy Chairperson of the Constituent Assembly Alexandre Lomtatidze. On the right, in the government box: Chairman of the Government Noe Zhordania; Minister of Education Giorgi Laskhishvili;
Minister of Justice Shalva Alexi-Meskhishvili; Minister of Foreign Affairs Evgeni Gegechkori;
Minister of Agriculture Noe Khomeriki. On the left, in the journalists' box: writer and journalist Ilia Zurabishvili.
Tbilisi, 1919
The document preserved at the National Archives of Georgia



საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი
კონსტანტინე ჯაფარიძე, გრიგოლ ნათაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, სვიმონ მდივანი, მდივანი ქრისტინე შარაშიძე
მთავრობის სასახლის აივანზე (დღევანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე).
თბილისი, 1919 წელი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Presidium of the Constituent Assembly of Georgia
Konstantine Japharidze, Grigol Natadze, Ekvtime Takaishvili, Alexandre Lomtatidze, Svimon Mdivani, secretary Kristine Sharashidze
Balcony of the Government Palace (present-day National Youth Palace).
Tbilisi, 1919
The document preserved at the National Archives of Georgia

1919 წელს დამფუძნებელი კრების არჩევნებში სხვადასხვა პარტიის სახელით დარეგისტრირდა 17 ქალბატონი, რომელთაგან ხუთი იქნა არჩეული, ხუთივე სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან.

In 1919, 17 women registered for the elections of the Constituent Assembly, on behalf of different parties.
Five of them were elected as members of the Constituent Assembly. All five were from the Social-Democratic Party.

პირველი კანონმდებელი ქალები
THE FIRST LEGISLATOR WOMEN



ქრისტინე შარაშიძე
(1887-1973)
საქართველოს დამფუძნებელი კრების მდივანი

KRISTINE SHARASHIDZE
(1887-1973)
Secretary of the Constituent Assembly of Georgia



ელეონორა ტერ-ფარსეგოვა მახვილაძე*
(1875-გ. უცნობია)

ELEONORA TER-PHARSEGOVA MAKHVILADZE*
(1875-death is unknown)



ანა სოლოღაშვილი
(1882-1937)

ANNA SOLOGHASHVILI
(1882-1937)



ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე**
(1885-1937)


ELISABED NAKASHIDZE-BOLKVADZE**
(1885-1937)



მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე***
(1879-1967)

MINADORA ORJONIKIDZE TOROSHELIDZE***
(1879-1967)

* ფოტო აღებულია შემდეგი ბმულიდან/The photo is taken from the link http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=12&id=250
** ფოტო აღებულია შემდეგი ბმულიდან/The photo is taken from the link http://www.feminism-boell.org/ka/2014/01/21/liza-elisabed-nakashize-bolkvaze
*** ფოტო აღებულია შემდეგი ბმულიდან/The photo is taken from the link http://dspace.nplg.gov.ge//handle/1234/1202



საქართველოს დამფუძნებელი კრება.

სხდომა პირველი

სხდომა პირველი

1919 წ. მარტის 12. საათი.

თავმჯდომარის დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ალექსანდრე ლომთათიძე

მდივნის დამფუძნებელ კრების მდივანი გ.ფაღავა.

სხდომა იწყება ხუთ საათსა და 10 წ.

კრების სხდომა დამფუძნებელ კრების ვიცე-თავმჯდომარე ალექსანდრე ლომთათიძემ გახსნა და ბრძანა.

ს. ლომთათიძის სიტყვა.

ს. ლომთათიძე: მიმართავს კრებას სიტყვით, რომელშიაც მიუთითებს დამფუძნებელ კრების წევრთა ვალდებულებაზე, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის საქმეში ნიჭიერების ძალების კრებას თავისი დამფუძნებელ კრების თავმჯდომარეობის ქვეშ თავმჯდომარის ვალი აშხანაგი.

თავმჯდომარის ვალი აშხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე: სოც.-ფედერალ.ჯგუფის სახელით ს. ლომთათიძე აცხადებს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარედ ბატონ გ. ფაღავას, რომელიც თავმჯდომარეობას გაუწევს დამფუძნებელ კრების პირველ სხდომას.

თავმჯდომარის ვალი აშხანაგი გ. ფაღავა ა-

სიტყვა.

ნ ი ნ ო ჭ. რომელიც მიმართავს კრებას სიტყვით, სიტყვის დასასრულს თავმჯდომარე კრებას დღის წესრიგის შესახებ.

დამფუძნებელ. კრების წესრიგის შესახებ.

ვ ა ლ ი ა. ამბობს, რომ დამფუძნებელ კრების პირველ სხდომაზე უნდა იქნეს განხილული მხოლოდ ის საკითხები, რომელიც ეხება ტერიტორიულ მთლიანობას და ამ საკითხების გადაწყვეტის შემდეგ დამფუძნებელ კრებამ უნდა დაიშალოს.

ვალის წინ.

ვ ა ლ ი ა. ამბობს, რომ დამფუძნებელ კრების პირველ სხდომაზე უნდა იქნეს განხილული მხოლოდ ის საკითხები, რომელიც ეხება ტერიტორიულ მთლიანობას და ამ საკითხების გადაწყვეტის შემდეგ დამფუძნებელ კრებამ უნდა დაიშალოს.

ვ ა ლ ი ა. ამბობს, რომ დამფუძნებელ კრების პირველ სხდომაზე უნდა იქნეს განხილული მხოლოდ ის საკითხები, რომელიც ეხება ტერიტორიულ მთლიანობას და ამ საკითხების გადაწყვეტის შემდეგ დამფუძნებელ კრებამ უნდა დაიშალოს.

ტერიტორიის მთლიანობა.

ვ ა ლ ი ა. ამბობს, რომ დამფუძნებელ კრების პირველ სხდომაზე უნდა იქნეს განხილული მხოლოდ ის საკითხები, რომელიც ეხება ტერიტორიულ მთლიანობას და ამ საკითხების გადაწყვეტის შემდეგ დამფუძნებელ კრებამ უნდა დაიშალოს.

ტერიტორიის მთლიანობა.

ვ ა ლ ი ა. ამბობს, რომ დამფუძნებელ კრების პირველ სხდომაზე უნდა იქნეს განხილული მხოლოდ ის საკითხები, რომელიც ეხება ტერიტორიულ მთლიანობას და ამ საკითხების გადაწყვეტის შემდეგ დამფუძნებელ კრებამ უნდა დაიშალოს.

ტერიტორიის მთლიანობა.

ვ ა ლ ი ა. ამბობს, რომ დამფუძნებელ კრების პირველ სხდომაზე უნდა იქნეს განხილული მხოლოდ ის საკითხები, რომელიც ეხება ტერიტორიულ მთლიანობას და ამ საკითხების გადაწყვეტის შემდეგ დამფუძნებელ კრებამ უნდა დაიშალოს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის ოქმი

კრების თავმჯდომარე – ალექსანდრე ლომთათიძე,
კრების მდივანი – გიორგი ფაღავა.
1919 წლის 12 მარტი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში


Proceedings of the first meeting of the Constituent Assembly of Georgia

Chairman of the meeting: Alexandre Lomtatidze.
Secretary: Giorgi Phaghava.
March 12, 1919
The document preserved at the National Archives of Georgia




საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები
პირველ რიგში მარცხნიდან სხედან: 1. გიორგი ლასხიშვილი,
2. ილია ბადრიძე, 3. რაჟდენ არსენიძე,
4. გერასიმე მახარაძე, 5. ქრისტინე შარაშიძე,
6. ექვთიმე თაყაიშვილი, 7. ალექსანდრე ლომთათიძე,
8. სვიმონ მდივანი.
მეორე რიგი: 6. ლეონტი ჟღენტი, 7. მიკიჩა ვარდოიანი,
10. დავით ონიაშვილი, 11. კონსტანტინე ანდრონიკაშვილი.
თბილისი, 1919 წელი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Members of the Constituent Assembly of Georgia
First row, from left to right: 1. Giorgi Laskhishvili,
2. Ilia Badridze, 3. Razhden Arsenidze,
4. Gerasime Makharadze, 5. Kristine Sharashidze,
6. Ekvtime Takaishvili, 7. Alexandre Lomtatidze,
8. Svimon Mdivani.
Second row: 6. Leonti Zhghenti, 7. Mikicha Vardoian,
10. David Oniashvili, 11. Konstantine Andronikashvili
Tbilisi, 1919
The document preserved at the National Archives of Georgia




კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძე
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

KARLO (NIKOLOZ) CHKHEIDZE
Chairman of the Constituent Assembly
The document preserved at the National Archives of Georgia




საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების საბოლოო შედეგების ოქმი
საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების ხელმოწერებით
1919 წლის თებერვალი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Protocol of the final results of the elections of the Constituent Assembly of Georgia, with signatures by the chairman and the members of the election committee
February, 1919
The document preserved at the National Archives of Georgia



საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საარჩევნო სია (N1)
დამფუძნებელი კრების არჩევნები.
1919 წელი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Party list of the Social Democratic Workers' Party of Georgia (N1)
Elections of the Constituent Assembly.
1919
The document preserved at the National Archives of Georgia




№ 11.

1. ავალიშვილი ხუროს დავითის ძე
2. ჯაფარიძე ივანე ალექსანდრეს ძე
3. ახვლედიანი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე
4. მაყაშვილი კონსტანტინე ხაჭარიას ძე
5. მღვდლიშვილი მიხეილ მოსეს ძე
6. ამირაჯიბი კონსტანტინე მიხეილის ძე
7. ღლონტი ვახტანგ დავითის ძე
8. გედევანიშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე
9. დარახველიძე-(ქორნიცკი) ალექსანდრე მიხეილის ძე
10. ზედგინიძე ივანე ბესარიონის ძე

დამოუკიდებელ კანდიდატთა (უპარტიოთა) კავშირის საარჩევნო სია (N11)
დამფუძნებელი კრების არჩევნები.
1919 წელი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში


Electoral list of the union of Independent Candidates (N11)
Elections of the Constituent Assembly.
1919
The document preserved at the National Archives of Georgia



სიას № 2.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო სია (N2)
დამფუძნებელი კრების არჩევნები.
1919 წელი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Electoral list of the National Democratic Party of Georgia (N2)
Elections of the Constituent Assembly.
1919
The document preserved at the National Archives of Georgia



დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქეობისა. (ქვეშევრდომობისა).

I. ყოველი მკვიდრი, მცხოვრები საქართველოს რესპუბლიკის, არის საქართველოს მოქალაქე.

შენიშვნა: მკვიდრი ეწოდება იმას, ვინც მიწერილია რესპუბლიკის ცერიკორიის რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის ივლისის 19-მდე / ძვ. სტ./.

2. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს მოქალაქედ სხვა სახელმწიფოსი.

3. საქართველოს რესპუბლიკაში მხოლოდ მისი მოქალაქენი არიან აღჭურვილნი პოლიტიკურის უფლებით. /აქტიური და პასიური უფლება პარლამენტისა და აგრეთვე თვითმართველობის არჩევნებისათვის და სხვა/.

შენიშვნა: მთავრობას უფლება აქვს განსაკუთრებულ შემთხვევაში დროებით, სანამ დაწესებულებათა გარდაქმნა დამთავრდებოდეს, მოიწვიოს თანამდებობაზე უცხო ქვეყნის მოქალაქე.

4. პირობა უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომის მიღებისა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ და აგრეთვე საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისა განსაზღვრული იქნება ცალკე კანონით.


16 ივლისი 1918 წ.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს
თავმჯდომარე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე

დებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა (ქვეშევრდომობისა)
მუხლი 3. „საქართველოს რესპუბლიკაში მხოლოდ მისი მოქალაქენი არიან აღჭურვილნი პოლიტიკურის უფლებით ...“
1918 წლის 16 ივლისი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Statutes of citizenship of the Democratic Republic of Georgia
Article 3. “Only citizens of Georgia practice political rights in the Republic of Georgia”.
July 16, 1918
The document preserved at the National Archives of Georgia



კ ა ნ ო ნ ი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო

ე ნ ი ს ა.

I.

I. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარება სხვა და სხვა დაწესებულებაში ცალკე კანონით განისაზღვრება.

II.

2. საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველნაირი საქმის წარმოება და კამათი უნდა იყოს ქართულს ენაზედ.

3. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, რომელსაც სახელმწიფო ენა არ იცის, შეუძლიან სიტყვა წარმოსთქვას დედაენით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: წესი ენის ხმარებისა და თარგმანისა განისაზღვრება რევიზიონით, რომელსაც საბჭო შეიმუშავებს.

1918 წ. ოქტომბრის 1-ს.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს


თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

კანონი საქართველოს სახელმწიფო ენისა
მუხლი 1. „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა”.
1918 წლის 1 ოქტომბერი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Law on the State Language of Georgia
Article 1. “Georgian is the state language of the Republic of Georgia”.
October 1, 1918
The document preserved at the National Archives of Georgia



კ ა ნ ო ნ ი
კანონთა გამოქვეყნებისა.

I. კანონი, მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ, უნდა გაეგზავნოს მთავრობას, რომელიც დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებს მას: "კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულში".

შენიშვნა: პირველ მუხლში აღნიშნული კრებულის გამოცემამდე, კანონები გამოქვეყნებულ იქნეს მთავრობის ოფიციალურ ორგანო: "საქართველოს რესპუბლიკაში".

2. ყოველი კანონი ძალაში შედის შვიდი დღის შემდეგ დღიდან გამოქვეყნებისა პირველ მუხლში აღნიშნულ ოფიციალურ გამოცემაში.

შენიშვნა: ეს მუხლი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც თვით კანონშია დადებული რაიმე ხხვა ვადა მისი ძალაში შესვლისა, ან როდესაც საჭიროა კანონის გამოქვეყნებამდე მისი სწრაფად, შეუფერხებლად ან შიკრიკის საშუალებით, ხიხრულებში მოყვანა, რაიცა აგრეთვე თვით კანონშივე უნდა იყოს აღნიშნული.

3. დროებით, ვიდრე განსაკუთრებული დაწესებულება დაარსდებოდეს, კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულის ოფიციალურ გამოცემას შეუმძღვანელობს იუსტიციის სამინისტროსთან დაარსებული საკოლეგიკაციო განყოფილება.

4. საკოლეგიკაციო განყოფილება "კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულს" გაუგზავნის დაუყოვნებლივ ყოველ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებას.


1918 წ. ოქტომბრის 11.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე

კანონი კანონთა გამოქვეყნებისა
1918 წლის 11 ოქტომბერი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Law on the Publication of Laws
October 11, 1918
The document preserved at the National Archives of Georgia



საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის დამატება.

წესი ენის ხმარებისა.

I. პარლამენტის წევრები სიტყვას წარმოსთქვამენ ქართულის ენით.

2. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, რომელმაც ქართული ენა არ იცის, შეუძლიან სიტყვა წარმოსთქვას, გარდა თავისი დედა ენისა, უმცირესობის ენით, რომელიც პრეზიდიუმის ერთმა წევრმა მაინც იცის.

3. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი, პრეზიდიუმთან შეთანხმებით, აირჩევენ საღაპარაკოდ ერთ-ერთს ენას, რომელიც მიღებულია პარლამენტში.

4. უმცირესობის ენაზე წარმოთქმული სიტყვის დედა აზრი გადმოცემულ უნდა იქნეს ქართულს ენაზედ, თუ ამას 15 დეპუტატზე არა ნაკლები მოითხოვს. თარჯიმანების შტატის შედგენამდე არავითარ თარჯიმანს ადგილი არ აქვს. ქართულიდან სხვა ენაზედ სიტყვა არ გადითარგმნება. ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელის მიერ წარმოთქმული სიტყვა სხვა უმცირესობის ენაზე არ გადითარგმნება.

5. წერილობით წინადადების, შესწორებისა და სხვათა შეტანა შეიძლება მხოლოდ ქართულს ენაზედ. პრეზიდიუმს უფლება აქვს მოუდრეკელად შემოსული წინადადების აზრი გადასცეს სხდომას ერთ-ერთ უმცირესობის ენით.-


1918 წ. ოქტომბრის 15-ს.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის დამატება, წესი ენის ხმარებისა
მუხლი 1. „პარლამენტის წევრები სიტყვას წარმოსთქვამენ ქართულის ენით“.
მუხლი 2. „ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, რომელმაც ქართული ენა არ იცის, შეუძლიან სიტყვა წარმოსთქვას, გარდა თავისი დედა ენისა, უმცირესობის ენით, რომელიც პრეზიდიუმის ერთმა წევრმა მაინც იცის“.
1918 წლის 15 ოქტომბერი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Addition to the Parliament's Rules of Procedures, regulation of the use of language
Article 1. "The members of Parliament make their speeches in the Georgian language";
Article 2. "Representatives of national minorities, who don't speak Georgian, can deliver speeches in their native language, or any other language known to at least one member of the presidium".
October 15, 1918
The document preserved at the National Archives of Georgia



კ ა ნ ო ნ ი

ნაფიც - მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისა.

I. შემოღებულ იქნეს ნაფიც-მსაჯულთა სასამართლო თანახმად იმ საფუძვლებია, რომელიც დადგენილია სასამართლო დაწესებულებების დებულებათა დრ.მთავრობის 1917 წლის სექტემბრის 12-ის რედაქციით და სისხლის სამართლის წარმოების წესდებით, იმ ცვლილებით და დამატებით, რომელიც არსებობს ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს დებულებაში.

2. დროებით, რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს შემოღებამდე, უფლებანი და მოვალეობანი ამ სასამართლოსი, თანახმად ამ დებულების II ნაწილის I მუხლისა, მიენიჭოს სასამართლო პალატას.

3. დაევალოს იუსტიციის მინისტრს ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს დაწყებაზე შემოსაღებად არა უგვიანეს 1919 წ.ივნისის 1-ა-თვის უფლებით განსაზღვროს დრო და ვადა სათანადო სიების შედგენისა ნაფიც-მსაჯულთა ასარჩევად.

1919 წ. იანვრის 17

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარის ა მ ხ ა ნ ა გ ი

საქართველოს რესპუბლიკის

მთავრობის თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

კანონი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისა და დებულების დამტკიცების შესახებ


ნაწყვეტი ნაფიც მსაჯულთა დებულებიდან.
მუხლი 2. „ნაფიც მსაჯულად ყოფნა არ შეუძლიან:

1. ვინც დანაშაულების გამო გამოძიებასა ან სამართალში არის მიცემული.
2. ვინც სასამართლოს განაჩენით სამსახურიდან დათხოვნილია.
3. ვინც ვერშემძლე მოვალედ არის გამოცხადებული.
4. ვინც ფლანგველობისა გამო მზრუნველობის ქვეშ იმყოფება.
5. ბრმა, ყრუ, მუნჯი, შეშლილია.

ასევე

1. მღვდელ-მსახური და ბერ-მონაზონი.
2. სასამართლო დაწესებულებათა წევრი ან დაწესებულებათა კანცელარიის შტატის მოხელე და, აგრეთვე, სასამართლოს ბოქაული“.

1919 წლის 17 იანვარი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში



დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ნაღიც-მსაჯულთა სასამართლოსი .

I.

სასამართლო დანესებულებათა დებულების ჯეროვან მუხლთა შესრულებად და შესაცვლელად დადგენილ იქნეს შემდეგი:

I. ნაღიცი მსაჯული უნდა ამორჩეულ იქნეს ორივე სქესის იმ პირთაგან:

ა. ვინც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეა (ქვეშევრდომია);

ბ. იცის ქართული ენა და წერა-კითხვა რომელსამე ენაზე.

გ. ვინც წელიწადში 25 წელზე ნაკლები არ არის.

დ. ვისაც ერთ წელიწადზე არა ნაკლები უცხოვრია იმ მაზრასა, ან ქალაქში, სადაც ნაღიც-მსაჯულთა არჩევანი სწარმოებს.

2. ნაღიც-მსაჯულად ყოფნა არ შეუძლიან:

1. ვინც დანაშაულობის გამო გამოძიებასა ან სამართალში არის მიცემული, ვისაც კანონის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის სასამართლოს დადგენილებით საპატიმრო, ანუ უფრო სასჯელი სასჯელი ჭქონდა გადაწყვეტილი და ვინც სამართალში იყო მიცემული ასეთი სასჯელის ტიტი დანაშაულისათვის და სასამართლოს დადგენილებით უდანაშაულოდ ცნობილი არ არის.

2. ვინც სასამართლოს განაჩენით სამსახურიდან დახხვნილია.

3. ვინც ვერშემძლე მოვალედ არის გამოცხადებული.

4. ვინც ღვინვეულობისა გამო მწრუნველობის ქვეშ იმყოფება.

5. ბრმა, ყრუ, მუნჯი და შეშლილია.

3. ნაღიც-მსაჯულთა ამოსარჩევად უნდა შედგენილ იქნეს საერთო და მორიგი სია.

4. გარდა მე-2 მუხლში აღნიშნული პირებისა ნაღიც-მსაჯულთა სიაში არ უნდა იქნეს შეტანილი:

ა. მღვდელ-მსახური და ბერ-მონაზონი;

ბ. სასამართლო დანესებულებათა წევრი, ამ დანესებულებათა კანცელარიის შტატის მოხელე და აგრეთვე სასამართლოს მოქალაქე;

I3. ნაღიც-მსაჯულთა მონაწილეობით გადასაწყვეტ საქმეებში თა-
ვმჯდომარის უფლებას ეკუთვნის სასყიდლის დანიშვნა მო-
წმეებისა, ექსპერტებისა და ყველა იმათთვის, ვინც სასა-
მართლოშია დაბარებული და ვისაც კანონით სასყიდლის მი-
ცემა აქვს დანესებული.

I4. სასამართლოს სხდომა, აღნიშნული სისხლის სამართლით წარ
მოების წესების მე-645 I მუხლში უნდა გახსნას იმან,
ვისაც განკრახულს სესიაში თავმჯდომარეობა აქვს მინდო-
ბილი. მასვე აქვს ყოველი მოვალეობა, სისხლ. სამართ.
წარ. წესდ. მე-645 4 მუხ. აღნიშნული.

III.

სასამართლოს დანესებულ. დებულ. მე-437 მუხ. და სისხ
სამართლის წარმოების წესდების მუხლნი I27I, I27I I, I275
და I280 I დაუძმებულია.

1919 წ. იანვრის I7-ს

საქართველოს პარლამენტის თავმ-
ჯდომარის მ ო ა დ გ ი ლ ე

საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

Law on the introduction of the jury trial system and approval of the statutes


Extract from the provision of jurors.
Article 2. “One is not allowed to be a juror if he/she:

1. has been accussed of a crime by an investigator or the rule of court.
2. has been dismissed from the workplace by a court verdict.
3. has been declared to be a creditor unable to cover his/her debts.
4. is under guardianship because of squandering practices.
5. is blind, deaf, mute or mentally impaired.

As well as

1. a clergyman and a nun.
2. a member of a law-making body, a clerk at the state chancellery or a court executive”.

January 17, 1919
The document preserved at the National Archives of Georgia



დებულება

დამფუძნებელ კრების არჩევნებისა.

განყოფილება პირველი.

თავი I.

საერთო დებულებანი.

1. დამფუძნებელ კრებას შეადგენენ წევრები, არჩეულნი მცხოვრებლების მიერ საყოველთაო-განურჩევლად სქესისა.—თანასწორის, პირდაპირის და ფარულის ხმის მიცემით პროპორციულ წარმომადგენლობის საფუძველზე.

2. დამფუძნებელ კრების არჩევნების საწარმოებლად არსდება რესპუბლიკის ერთი საარჩევნო ოლქი.

დამფუძნებელ კრების წევრთა რიცხვი იქნება ასოცი. არჩევნებზე ხმის მისაცემად რესპუბლიკა იყოფა საარჩევნო უბნებრად.

თავი II.


საარჩევნო უფლება.

3. დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქეთ, თუ მათ არჩევნების დღისთვის ცხრამეტი წელი შესრულებით.

4. არჩევნებში ვერ მიიღებს მონაწილეობას ვინც კანონის მიერ მიღებულ წესისამებრ გიჟად ან ჭკვაზე

დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება
„დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქეთ, თუ მათ არჩევნების დღისთვის ცხრამეტი წელი შესრულებით“.
თავი II, საარჩევნო უფლება.
1919 წელი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Electoral statute of the Constituent Assembly
“Citizens of both genders are eligible to participate in the elections of the Constituent Assembly of the Republic if they have turned nineteen by the date of the elections”.
Chapter II, Right to Elections
1919
The document preserved at the National Archives of Georgia



კ ა ნ ო ნ ი

მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისა.

1. დაბადების, ქორწინების და სიკვდილის აქტები შეიტანება მეტრიკის წიგნებში.

2. მეტრიკის წიგნების წარმოება ევალება ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებს.

3. თვითეულ ხალხიან და სამაზრო ერობის გამგეობასთან არსდება განსაკუთრებული განყოფილება მეტრიკის წიგნების საწარმოებლად. განყოფილების ხელმძღვანელობა ევალება გამგეობის წევრს.

4. რამოდენიმე სამოსახლო უბნებად დაყოფილ ქალაქში მეტრიკის წიგნების წარმოება მიეწყობა ყოველ კომისარიატთან.

5. მაზრებში მეტრიკის წიგნების წარმოება მიეწყობა ყოველ წვრილ საერობო ერთეულთან და სადაც ასეთი არ არის, სარაიონო კომისარიატთან.

6. თუ წვრილი საერობო ერთეული ან სარაიონო კომისარიატი დიდია, სამაზრო ერობის გამგეობას შეუძლია მეტრიკის წიგნების წარმოება მოაწყოს კიდევ უფრო მცირე რაიონებში.

7. ყველა დაწესებულებანი თუ თანამდებობის პირნი, რომელთაც დავალებული აქვთ მეტრიკის წიგნების წარმოება, უშუალოდ ექვემდებარებიან ქალაქის ან სამაზრო ერობის გამგეობას კუთვნილებისამებრ.


8. მეტრიკის წიგნების საწარმოებლად არსებულ განყოფილებათა გამგეებს ნიშნავს და იხსნის სამსახურიდან, გამგეობის საერთო წევრის წარდგინით, ქალაქის და სამაზრო ერობის გამგეობა კუთვნილებისამებრ.

9. მეტრიკის წიგნების წარმოება ხდება ორ, სრულიად ერთნაირ, ეგზემპლარად.

10. დაბადების/უნდა მკაფიო ბავშვი დაიბადოს/, ქორწინების და სიკვდილის ყოველი შემთხვევა დაუყონებლივ უნდა ეცნობის საერთო დაწესებულებას, რომელიც აწარმოებს მეტრიკის წიგნებს. დაბადებებზე და გარდაცვალებაზე განცხადებას აკეთებენ მშობლები, ნათესავები ან მახლობელნი დაბადებულისა ან მიცვალებისა, და თუ ასეთები არ არის, იმ სახლის ან ბინის პატრონი სადაც ბავშვი დაიბადა, ან გარდაცვლებული უკანასკნელ დროს სცხოვრობდა, ან იმ დაწესებულების/ბავშვ-

კანონი მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ
1919 წელი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Law on the registration of civil acts about the state of citizens
1919
The document preserved at the National Archives of Georgia



წ ე ს ი
დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონის,
დეკრეტის და დადგენილების გამოქვეყნებისა.

I. ყოველი კანონი, დეკრეტი და დადგენილება, დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული, უნდა გამოქვეყნებულ იქნეს თანახმად 1918 წ. ოქტომბრის II-ს კანონისა—კანონთა გამოქვეყნებისათვის.

2. ყოველ კანონს, დეკრეტს თუ დადგენილებას, რომელსაც დამფუძნებელი კრება მიიღებს, ხელს მოაწერს კრების თავმჯდომარე.
ყოველ კანონსა და დეკრეტს აგრეთვე ხელს მოაწერს მთავრობის თავმჯდომარე. ამ უკანასკნელის ხელის მოწერლობა ვერ შეაჩერებს კანონის და დეკრეტის გამოქვეყნებას და მათაში შესვლას.


3. წესი ეხე შედის მათაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.
1918 წ. აპრილის 15-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების
თავმჯდომარის ფიქრისი ა მ ხ ა ნ ა გ ი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მ ო ა დ გ ი ლ ე

წესი დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონის, დეკრეტისა და დადგენილების გამოქვეყნებისა
1919 წლის 15 აპრილი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Rule of the publication of laws, decrees and decisions as adopted by the Constituent Assembly
April 15, 1919
The document preserved at the National Archives of Georgia




შრომითი ხელშეკრულების კანონი

მუხლი 7. „მუშა, რომელმაც ზედიზედ ერთ კვირაზე მეტი იმუშავა, ხელოსანი, რომელმაც ორ კვირას იმუშავა და მოსამსახურე, რომელმაც ერთ თვეზე მეტი იმუშავა დაწესებულებაში მიღებულად ჩაითვლება და სარგებლობს ყველა იმ უფლებას, რომელიც შემოღებულია წარმოებაში დანარჩენი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის“.
1919 წელი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Labour Code

Article 7. “A labourer, who has consecutively worked for more than a week; a craftsman, who has worked for two weeks, and a servant, who has worked for more than a month, will be considered as employees of the institution and should practice the same rights as all other workers and servants of the production”.
1919
The document preserved at the National Archives of Georgia



საქართველოს

კონსტიტუცია

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21.

ბათუმი
სტამბა ნ. ი. სვიდგაისა
1921 წ.

თავი მეჩვიდმეტე

კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 145.

კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის ინიციატივის უფლება აქვს:
ა) პარლამენტის წევრთა ნახევარის არა ნაკლებსა, და
ბ 50.000 ამომრჩეველსა.

მუხლი 146.

[illegible]ინადადება კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვისა პარლამენტის დღიურ წესრიგში დაისმის განსახილველად არა უადრეს ექვსი თვისა შეტანის დღიდან.

მუხლი 147.

კონსტიტუციის, საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის პროექტი მიღებულ უნდა იქნეს პარლამენტის ყველა წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით, იგი ძალაში შედის მხოლოდ ხალხის უმრავლესობის მიერ დადასტურების შემდეგ.


მუხლი 148.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნად.


მუხლი 149.

პირველ პარლამენტის შეკრებამდე მის მაგიერობას გასწევს დამფუძნებელი კრება.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია
ზოგადი დებულება. მუხლი 1. „საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო. მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“.
ბათუმი, 1921 წლის 21 თებერვალი
დოკუმენტი ეკუთვნის საქართველოს პარლამენტს
დაცულია ეროვნულ არქივში



The Constitution of the Republic of Georgia
General provisions. Article 1. “Georgia is a free, independent and indivisible state. Its permanent and invariable political structure is the Democratic Republic”.
Batumi, February 21, 1921
The document belongs to the Parliament of Georgia
Preserved at the National Archives of Georgia



სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი
და დამოუკიდებელნი არიან.

საქართველოს კონსტიტუცია, თავი მე-16, მუხლი 142

The state and the church are separated
and independent from each other.

THE CONSTITUTION OF GEORGIA, CHAPTER 16, ARTICLE 142



სახელმწიფო და ეკლესია

THE STATE AND THE CHURCH




საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ გამართული სრულიად საქართველოს პირველი საეკლესიო კრების მონაწილენი
1917 წლის 25 მარტი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Members of the first council of Georgia, held after the restoration of the autocephaly of the Georgian Apostolic Orthodox Church
March 25, 1917
The document preserved at the National Archives of Georgia



კირიონ II (საძაგლიშვილი) (1855-1918)
საქართველოს ეკლესიის პირველი კათოლიკოს-პატრიარქი ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, 1917-1918 წლებში; ისტორიკოსი, სასულიერო და საზოგადო მოღვაწე. 2002 წელს საქართველოს ეკლესიის მიერ შეირაცხა წმინდანად. დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

KIRION II (SADZAGLISHVILI) (1855-1918)
The first Patriarch of the Georgian Church after the restoration of the autocephaly in 1917-1918; a historian, religious and public figure. He was canonised by the Georgian Church in 2002.
The document preserved at the National Archives of Georgia



თავი მეთექვსმეტე.

სახელმწიფო და ეკლესია.

მუხლი 142

სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოუკიდებელნი არიან.

მუხლი 143.

არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა.

მუხლი 144.

ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია.

საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოსა და ეკლესიის შესახებ
თავი მე-16, მუხლი 142-ე. „არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა“.
1921 წლის 21 თებერვალი
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

The Constitution of Georgia about the State and the Church
Chapter 16, article 142. “None of the religions shall be privileged”.
February 21, 1921
The document preserved at the National Archives of Georgia



ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე) (1861-1921)
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1918-1921 წლებში. სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთვის აქტიური მებრძოლი.
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში


BISHOP LEONIDE (OKROPIRIDZE) (1861-1921)
Catholicos-Patriarch of Georgia in 1918-1921. A religious and public figure;
one of the activists, who fought for the restoration of the autocephaly of the Georgian Church.
The document preserved at the National Archives of Georgia


Touapsé
Sotchi
Gagri
Soukhoumi
M E R
Zaoudidi
Samtkhi
Poti
O I R E
Batoumi
Rizeh
Ispir
Olty
Tortoum
Tsaguéva
Oni
Koutaïs
Ozourguethi
Khachouri
Gori
Douchéti
Aldhaltsikhe
Aldhaltalaki
Artvin
Ardahani



საგარეო ურთიერთობები

FOREIGN RELATIONS




აკაკი ჩხენკელის მოწოდება საქართველოს ეროვნული საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტისადმი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადების შესახებ

„ურისკოთ არაფერი არ კეთდება. სახელმწიფო ვის დაუარსებია ურისკოთ! საჭიროა გამბედაობა და კიდევ გამბედაობა!" – ასრულებს წერილს აკაკი ჩხენკელი.
ბათუმი, 1918 წლის 22 მაისი
დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ოთხი დღით ადრე
დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში

Appeal of Akaki Chkhenkeli to the National Council of Georgia and the Executive Committee for the Immediate Declaration of Independence of the Country

"Nothing can be done without a risk. Who has ever founded a state without a risk! We need bravery and more bravery!" – finishes his letter Akaki Chkhenkeli.
Batumi, May 22, 1918
Four days before the declaration of independence.
The document preserved at the National Archives of Georgia



PROVISORISCHEN ABKOMMEN.

zur vorläufigen Regelung der Beziehungen zwischen Georgien und Deutschland.

Zwischen der Georgischen Regierung einerseits, vertreten durch den Minister des Aeussern, Herrn A k a k i T s c h e n k e l i ,

und der

Kaiserlich Deutschen Regierung anderseits, vertreten durch den Königlich Bayerischen Generalmajor v o n L o s s o w ,

ist in der Absicht, die Beziehungen zwischen den beiden Völkern vorläufig zu regeln, folgendes vereinbart worden.

